პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 აპრილი შაბათი 1973 წელი 2 აპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 88 (15605)

მეჭანიზატორის მიხაბაძი თაოსნობა

ბურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტი გ. ქართალიშვილი თავის აგრეგატთან; მინდვრად სიმინდის თესვის დროს.

გ. ქართალიშვილის თაოსნობის შესახებ მასალა იხილეთ მეორე გვერდზე.

ხ. თევზაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავის შესახებ

1973 წლის 30 მარტს ხრულდება 70 წელი რსდმპ II ყრილობის გახსნიდან. ყრილობის მნიშვნელოვანია ის არის, რომ ამ ყრილობაზე დამთავრდა რევოლუციურ მარქსისტულ ორგანიზაციათა გაერთიანების პროცესი და შეიქმნა რუსეთის მუშათა კლასის პარტია იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციულ პრინციპებზე, რომლებიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა. შეიქმნა ახალი ტიპის პროლეტარული პარტია, ბოლშევიკების პარტია, დიადი ლენინური პარტია. „ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს“ (ლენინი).

მას შემდეგ ჩვენი პარტიის მიერ განვლილ გზას ბადალი არა აქვს ისტორიაში. შეღრეჯილი ბატარა ილეგალურში ორგანიზაცია გადაიქცა კომუნისტთა მძლავრ შეკავშირებულ, თითქმის თხუთმეტმილიონიან არმიად — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მმართველ პარტიად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მუშათა კლასის პარტია, გახდა მებრძოლი ავანგარდი მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელიც კომუნიზმს აშენებს. პარტიაში, წერდა ლენინი, „ჩვენ ვხედავთ ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს“.

როცა პარტიას ქმნიდა, ვ. ი. ლენინი იმით ხელმძღვანელობდა, რომ იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციათა პირობებში მუშათა კლასისათვის აუცილებელი იყო ახალი ტიპის პარტია — ნამდვილად რევოლუციური, ნამდვილად კომუნისტური პარტია, რომელიც ძირფესვიანად უნდა განსხვავებოდეს II ინტერნაციონალის პარტიებისაგან. პარტია, ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, სათავეში უნდა ჩაუდგეს პროლეტარიატის ბრძოლას საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის, იყოს კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე რევოლუციური გადასვლის წამყვანი ძალა. ეურნალობოდა რა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დებულებებს, რუსეთისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის გამოცდილებას, შეიჩქმალებლად ავითარებდა რა მარქსიზმს იმპერიალიზმის ეპოქასთან შეფარდებით, ლენინმა შექმნა მთლიანი მოძღვრება პარტიის, როგორც მუშათა კლასის რევოლუციური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის შესახებ, ეფიენმლმნელ მუშათა კლასის ბრძოლის ამოცანებიდან, ბოლშევიზმის სტრატეგია და ტაქტიკა, პარტიული ცხოვრების ნორმები და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპები.

რუსეთში რევოლუციური პროლეტარული პარტიის ჩანასახი იყო ვ. ი. ლენინის მიერ 1895 წელს შექმნილი პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“. როშლის გარშემო დაიწყეს გაერთიანება ჭეშმარიტ მეფილი ნიგნი სამრეწველო ცენტრების სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა. 1898 წელს გაიმართა I ყრილობა, რომელმაც გამოაცხადა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) დაარსება. მაგრამ ყრილობას ვერ დაესწრნენ ლენინი და მისი უახლოესი თანამებრძოლები, რომლებიც გადასახლებაში იყვნენ. ამის გამო ყრილობამ ვერ შეიმუშავა პარტიის პროგრამა და წესდება, ვერ ძალაა ზოგიერ-დემოკრატიული მოძრაობის დაჭეშმარიტებლობა.

რევოლუციური პროლეტარული პარტიის იდეური და ორგანიზაციული მომზადებაში, ოპორტუნისტებისაგან გამიჯვნაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის გაზეთ „ისკრას“, რომელიც ლენინმა შექმნა და რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა. გაზეთის გარშემო პრინციპულ მარქსისტულ საფუძველზე შეკავშირდნენ პარტიის ადგილობრივი კომიტეტები, პროფესიონალ-რევოლუციონერთა მთელი ბლეადა. „ისკრამ“, ლენინის თქმით, გაერთიანა რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის მთელი საუკეთესო ნაწილი.

რსდმპ მეორე ყრილობამ მიიღო პარტიის მარქსისტულ-ლენინური პროგრამა, ოფიციალურ-ლენინის, შემუშავდა და კანონმდებლობა ძალაუფლების დამხობისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის იარაღის, დამყარებისათვის ბრძოლის პროგრამა. მან დამარცხა „ეკონომისტების“ ოპორტუნიზმზე ბოლშევიზმის გამარჯვება, უძლიერესი ლაშვარი ასაც მათს თანამოაზრეებს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში.

რსდმპ მეორე ყრილობა შემობრუნების პუნქტი გახდა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. „ბოლშევიკური პარტიის შექმნით, — წერდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ფუნქციონერი „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“, — დაიწყო რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ახალი ეტაპი. პროლეტარიატმა ორივეულად მიიღო ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლო ახალ ისტორიულ პირობებში ბრძოლის წარმატებით ხელმძღვანელობა“.

ლენინის მოძღვრება პარტიის შესახებ დიდი ეფექტი ეფექტიანი ბრძოლა ოპორტუნისტებისაგან ყველა ეროვნულ ბანაკში. ბოლშევიკური ბანაკი ეროვნულ ბანაკში ეროვნული ბანაკი ეროვნული ბანაკი ეროვნული ბანაკი

14-15 აპრილი ტექნიკის დათვალიერების დღეა

მექანიზატორის მისაბაძი თაოსნობა

მხარი დავუჭიროთ და გავავრცელოთ გიორგი ქართლელიშვილის პატრიოტული წამოწყება

სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწონა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მემანქანე ტრაქტორისტის გიორგი ილიას-ძე ქართლელიშვილის ინიციატივა. მან ვალდებულება იკისრა ტექნიკის რაციონალური ექსპლოატაციის, მიმდინარე და კაპიტალური რემონტების ხარჯების შემცირების, საწვავ-საპოხი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების მომჭირნეობით ხარჯვის გზით ხუთწლედში დაზოგოს 1.500 მანეთი. თანხა, რომლითაც კოლმეურნეობა შეძლებს იყიდოს ახალი ტრაქტორი.

რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაავალა სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რაიონულ და ადგილობრივ კომიტეტებს, კოლმეურნეობათა პროფკომებს დასახმონ და განაზოგადონ ჩუმლაყელი მექანიზატორის გ. ქართლელიშვილის ინიციატივის ფართოდ გავრცელების ღონისძიებანი, გააჩაღონ მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სწორად გამოყენებისათვის, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ხარჯების შემცირებისათვის, საწვავ-საპოხი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

სამეურნეო ორგანიზებს წინადადება მიეცათ პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მემანქანე ტრაქტორისტებს ნაკისრი ვალდებულებებისა და პირადი გეგმების შესრულებაში, დროზე უზრუნველყონ ისინი საწვავით, საპოხი მასალებით, სათადარიგო ნაწილებით, სისტემატურად გაუმჯობესონ მათი შრომის, დასვენებისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

აღინიშნა, რომ საჭიროა დაიცვან შრომის ანაზღაურების მოქმედი წესი, სწორად და დროზე გაანახორციელონ მასტიმულირებელი ღონისძიებანი. ყოველივეი ეს საშუალებას მისცემს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყაირათიანი მექანიზატორების მიერ დაზოგილი თანხით შეიძინონ ახალი ტრაქტორები.

გიორგი ქართლელიშვილმა უკვე დაზოგა ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში 675 მანეთი.

ი რას ვვიამბობს იგი თავის ინიციატივაზე, თავის პირად ხუთწლიან გეგმაზე, გვიზიარებს თავის აზრს იმაზე, თუ რა აღგილი უნდა ეკავოს თვითეულ მშრომელს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში:

— გულახდილად რომ ვთქვა, მე პირველს არ მომსვლია აზრად დაშეზოგა კოლმეურნეობისათვის ტრაქტორის შესაძენი სახსრები. ჯერ კიდევ 1966 წელს კალინინის ოლქის ზუბცოვის რაიონის კოლმეურნეობა „როსიის“ ტრაქტორისტმა მ. პეტუშკოვმა გამოიჩინა ასეთი ინიციატივა და მერვე ხუთწლედის დამლევისათვის შესრულა სიტყვა. დაზოგილი სახსრებით ნაყიდი დტ-75 ტრაქტორი საზეიმო ვითარებაში გადაეცა მექანიზატორებს. ამ მანქანის საჭესთან მუშაობის დროს მ. პეტუშკოვმა მეცხრე ხუთწლედის დამდეგს კვლავ იკისრა ვალდებულება იმავე რეჟიმებით დაეზოგა ხუთ ეიტა 3 ათასი მანეთი და ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში თავის აქტივში ჩაიწერა 1.600 მანეთი.

როგორ შევიტყვე, რომ ყაირათიანი ტრაქტორისტის მაგალითს მიბაძა კალინინის ოლქის 1.100 მექანიზატორმა, მომინდა ჩავბეჭდეთ ამ მოძრაობაში და მოვიწვიეთ საქართველოს ყველა ტრაქტორისტს მხარი დაეჭიროს ყაირათიანობისათვის ლაშქრობას. ახლა, როცა საბჭოთა მშრომელი ხალხი ამ ლაშქრობას ამთავრებს, ჩვენ ვიგებ, ოთხ ეიტა ათასი მანეთი ეკონომია. ეს ფასეულობა ეროვნულ-ეკონომიკურ ბალანსში ჩადგა, ეს ფასეულობა ეროვნული შემოსავალია. ეს ფასეულობა ეროვნული ბედნიერებაა. ეს ფასეულობა ეროვნული ბედნიერებაა, ეს ფასეულობა ეროვნული ბედნიერებაა, ეს ფასეულობა ეროვნული ბედნიერებაა,

მსოფლიო დღეს

საკავშირო პროფსაბჭოს განცხადება

საბჭოთა პროფკავშირები დიდი აღფოთებით შეხვდნენ ცნობას, რომ ისრაელის მხედრიონი გერაგულად დაესხა თავს ბეირუთს, საიდუსა და პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებს, რის შედეგად არის დიდი მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში, დაიღუპნენ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მთელი რიგი ხელმძღვანელები. ისრაელის ხელისუფლებამ უხეშად გათელეს ლიბანის სახელმწიფო სუვერენიტეტი და კვლავ დაანახვეს მთელ მსოფლიოს, რომ მათი ექსპანსიონისტური პოლიტიკა მთავარი დაბრკოლებაა ახლო აღმოსავლეთში უსწრაფესი მოწესრიგების გზაზე.

სსრ კავშირის პროფკავშირები მუდამ სოლიდარობით ეკიდებოდნენ და ეკიდებიან არაბი ხალხების ბრძოლას ისრაელის იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის სამართლიანი მშვიდობისა და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა პროფკავშირების მილიონობით წევრის სახელით საკავშირო პროფსაბჭო გადაჭრით გმობს ისრაელ აგრესორთა პროვოკაციებსა და დივერსიებს და მოითხოვს ბოლო მოეღოს ავანტურ მოქმედებას არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო.

ბ. პროზ ტიტოს მიიღო სსრ კავშირის ელჩი

12 აპრილი. (საკდესი). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ ი. ბროზ ტიტომ მიიღო სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიაში ვ. ი. სტეპაკოვი, რომელმაც ი. ბროზ ტიტოს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული წერილი.

ბიბლიოგრაფია

ეძღვნება საქართველოს

13 აპრილი. (საკდესი). პაკისტანის დედაქალაქის უდიდეს კინოთეატრ „მელოდიაში“ გაიხსნა ფოტოგამოფენა, რომელიც ეძღვნება მზიურ საქართველოს, მის შრომისმოყვარე და ხალხიან ხალხს და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარმატებებს. პირველ დღესვე გამოფენა დაათვალიერა ისლამაბადის ასობით მცხოვრებმა.

ბაღდადი ერაყი პროტესტს აცხადებს

13 აპრილი. (საკდესი). ერაყელი ხალხის გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია დანაშაულმა, რომელიც ისრაელის მხედრიონმა ლიბანის მიწა-წყალზე ჩაიდინა.

ერაყის პრეზიდენტმა აჰმედ ჰასან ალ-ბაქრმა და ქვეყნის რევოლუციური სარდლობის საბჭომ სამძიმარი შეუთვალეს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობას პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის სამი თვალსაჩინო მოღვაწის დაზოგვის გამო.

ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის წევრები ბაღდადში ეწევიან პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლობას და თავიანთი აღშფოთება გამოთქვეს ტელ-ავივის ბანდიტური მოქმედების გამო.

დღეს ერაყის დედაქალაქში გაიმართა ისრაელთა ახალი ბოროტი დანაშაულის წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია. ლიბანში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად ხალხმრავალი სამგლოვიარო პროცესიამ ჩაიარა ქალაქ რაშიდის ცენტრალურ ქუჩაში.

ბონი მოლაპარაკება განაახლეს

13 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ მოლაპარაკება განაახლეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკამ. ამ მოლაპარაკებაზე ჩეხოსლოვაკიის დელეგაციას მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. გეტიჩი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციას — საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი პ. ფრანკი. დელეგაციები განიხილავენ ორი ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვას.

ცხრა თვის შემდეგ, მოლაპარაკების განსახილველთან დაკავშირებით დასავლეთგერმანული პრესა გამოთქამს აზრს, რომ ამის შედეგად მსჯელები „გამონახავენ ურთიერთისადმი გადაწყვეტილებებს“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ურთიერთობა მოწესრიგდება.

ტექნიკური ეშმაკობანი

შეფსაც ამოწმეგენ

დასავლეთის მსხვილი სამრეწველო საწარმოების დირექტორები დიდ ანაზღაურებას იღებენ. მაგრამ კომპანიების ხელმძღვანელებს სურთ, რომ მათი ნდობით აღჭურვილი პირები დიდი ოფლისღვრის ფასად იღებდნენ თავიანთ ფულს. რას აკეთებს დირექტორი ყოველდღიურად, როგორ იყენებს თვითეულ სამუშაო წუთს?—აი რისი გაგება სურდათ კომპანიებს. და საწადელსაც ასე მიაღწიეს. ახლა მეტად მშვიდი ელექტრონული „ზედამხედველი“ ფხიზლად დაიცავს მათს ინტერესებს. მეორე დირექტორის სამუშაო მაგიდაზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ბელგიაში უკვე გაჩნდა პატარა, ლამპასად გაფორმებული აპარატი. გარკვეული ინტერვალით იგი გამოსცემს სიგნალებს, და მაგიდის მფლობელი ხელსაწყოს სვრელში დებს იმ სამუშაოს შესაბამის პერფორირებულ ოუკას, რა სამუშაოსაც იმსახურებ ასრულებს.

ელექტრონული შემოწმების პირველი შედეგებით აღმოჩნდა, რომ საწარმოთა ხელმძღვანელი შემადგენლობის დიდი ნაწილი ხშირად ასრულებს ისეთ სამუშაოს, რისთვისაც, მეპატრონეთა აზრით, მაღალი ხელფასის მიცემა სამდგილად არა ღირს. (ახალი ამბების საბჭენტო).

ფოტოინფორმაცია

მშვიდობიანი დღეები დადგა ვიეტნამში; შეწყდა პანოხია და ვიეტნამის სოფლების თავზე ამერიკული ბომბდამშენებისა და გამანადგურებლების ღრეღილი; ნათესებს აღარ თელავენ ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები; აღარ გუგუნებენ საარტილერიო ზალვები; სოფლების მშვიდობიან მცხოვრებლებს აღარ აფრთხობთ უცნობი ადამიანების გამოჩენა...

ვიეტნამელი გლეხები უკვე უიარაღოდ გადიან მინდვრებსა და პლანტაციებში, სათესავთან და დანგრეული სახლების აღსადგენად სამუშაოებზე. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მათ უშიშროებას იცავს მსოფლიოს მთელი პროგრესული ხალხთა ერთობა.

სურათებზე: მარჯვნივ — აღდგენილი სამუშაოები ან-ზონგის რაიონში, სადაც ამერიკულმა სტრატეგიულმა ბომბდამშენებმა „ბ-52“ პირისაგან მიწისა აღგავეს ბევრი დასახლებები; ქვემოთ — პაოლელი ბავშვები მიდიან პირველ მეცადინეობაზე.

ფოტო —სპეციალური ფოტო.

ვიეტნამის მშვიდობიანი დღეები

ბელგია

ნაიმ ტალუს განცხადება

13 აპრილი. (საკდესი). სენატორმა ნაიმ ტალუმ, რომელსაც ფერენკერმა პრეზიდენტმა ფაპრი კორუთერმა დაავალა ახალი მთავრობის შედგენა, განაცხადა, რომ იგი „იქნება პარლამენტის არჩევნებისათვის მზადების მთავრობა“. ნ. ტალუმ აღნიშნა, რომ პარლამენტის არჩევნები გაიმართება მომდინარე წლის ოქტომბერში. ახალი მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნა მან, განახორციელებს აგრეთვე მთელ რიგ რეფორმებს.

ლონდონის ახალი ხიდი

ბიზნესის საამყაროში

პომასგიდ ფოტოკამერამ აღბეჭდა ფირზე საზეიმო ცერემონია, რომელიც ამას წინათ გაიმართა ლონდონში ტემზის ნაპირებზე. აქ მრავალი ცნობილი სტუმრისა და ინგლისის დედოფალ ელიზაბედის თანდასწრებით გაიხსნა ლონდონის ახალი ხიდი.

ამბობენ, რომ ამ ადგილზე ოდესღაც ტემზის ორივე ნაპირს აკავშირებდა ხის ბოგირი, რომელიც რომაელთა მიერ იყო აგებული. შემდეგ მდინარეზე ხიდი საქსებმა გააკეთეს. ერთ-ერთი ომის დროს ეს ხიდი დაიწვა. ლეგენდები ამ ხიდის შესახებ დღემდე შემორჩა ხალხში. ერთ ინგლისურ ძველისპირელ სიმღერაში ლაპარაკია ლონდონის ცეცხლწაკიდებულ ხიდზე.

1176 წელს ქალაქის მამებმა გადაწყვიტეს ამ ადგილზე აეშენებინათ ქვის ხიდი, რომელსაც 33 წლის განმავლობაში აშენებდნენ და თითქმის ექვს საუკუნეს გაუძლო. უფრო მოგვიანებით ხიდზე აშენდა პატარ-პატარა საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები. ლონდონში ჩამოსულ სტუმრებს ძველ ხიდზე პირველ რიგში თვალში ხვდებოდათ ორივე მხარეს ჩამოკიდებული მოკვეთილი თავები; ეს მკაცრი გაფრთხილება იყო ინგლისში მოქმედი კანონების შესახებ.

XIX საუკუნეში ინჟინერმა ჯონ რენიმ აიგო ახალი ხიდი, რომლის ხილამაზესაც უმდეროდნენ ლექსებში და მხატვრებს ტილოებზე გადაპერნდათ. მისი ბედი სიმბოლურია. ათასი წლის წინათ, როცა ხიდს ბზარები გაუჩნდა, გადაწყვიტეს ახალი ხიდით შეეცვალათ. თუმცა ერთმა გარემოებამ ინგლისელთა ამაყ ბუნს სასტიკი დარტყმა მიაყენა. ინგლისის ერთ-ერთი ძველი ისტორიული ძეგლი ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგად მიჰყიდეს ამერიკელ საქმოსნებს, რომლებიც აქ ისტორიულ ძეგლებს გარდა ქარხნებს, მიწას, დაზღვევის კომპანიებსა და გემთსაშენებლებსაც ყიდულობენ.

ამერიკელებს ხიდის გადატანა ოკეანის იქით უფრო ძვირი დაუჯდათ, იმაზე, რაც მათ გადახიხდეს. თვითეულ ქვას ცალ-ცალკე ანომრავდნენ, ნომრავდნენ და ისე აჭონდათ გემზე.

ამჟამად არსებობს ლონდონის ორი ხიდი. ერთი ხიდის ქვეშ უცნო ქვეყნის მზე აცხუნებს არიზონის შტატის პატარა ქალაქის პარკში.

ლონდონის ახალი ხიდი თავისი ფორმის მკაცრი ხაზებით ცნობილ ვატერლოოს ხიდს მოგვაგონებს. ზოგიერთს ის მოსწონს კიდეც. მაგრამ ლონდონელთა უმრავლესობა არ თვლის მას მისი წინამორბედის ღირსეულ მემკვიდრედ.

ვ. ვასილევი,
საკდესის კორესპონდენტი.
ლონდონი.

ინდოეთი

ინდირა განდი

13 აპრილი. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული ინსტიტუტის გენერალური საბჭოს სხდომაზე გამოსულმა, მინისტრმა ბ. მატეიმ წუსილი გამოთქვა იტალიის სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის გამო. მან აღნიშნა, რომ 1972 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ქვეყანაში 4,9 პროცენტით შეფცირდა 1971 წელთან შედარებით.

ამავე დროს, როგორც იტალიის მიწის მფლობელთა საყოველთაო კონფედერაციის პრეზიდენტმა ა. დიანმა აღნიშნა, მიმდინარეობს იტალიის სოფლის მეურნეობაში დასაკმებულ ფუნთა რიცხვის მუდმივი შემცირება. 15 წლის მანძილზე, 1954 წლიდან დაწყებული, მათი რიცხვი თითქმის სანახევროდ შემცირდა.

საფრანგეთი

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გუშინ გაიმართა კენჭისყრა ქვეყნის ახალი მთავრობისადმი ნდობის ვოტუმის საკითხზე, პრემიერ-მინისტრ პ. მესმერის მიერ ამ მთავრობის საერთო პოლიტიკის შესახებ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით. მთავრობას მხარი დაუჭირა ეროვნული კრების 254 დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო — 206.

ბელგია

მარტის დამლევისათვის ბელგიაში იყო 86.119 მოლიანად და ნაწილობრივ უმუშევარი კაცი.

არგენტინა

რუბრიკ პრესა იუწყება, არგენტინის საავადმყოფოების ადმინისტრაცია თავის პაციენტებს ხშირად იყენებს იაფ მუშახელად. ავადმყოფები იძულებული არიან მიიღონ „საქმიანი წინადადებანი“, ვინაიდან ბევრისათვის ეს არის მკურნალობის ანაზღაურების ერთადერთ შესაძლებლობა.

ფაქტები

მიფრინავს „კოსმოს - 553“

1973 წლის 12 აპრილს საბჭოთა ფრინველი გაუშვეს დედამიწის მორბენალი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-553“. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

ავტომატური ნორმალურად მუშაობს. ტელეინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკდესი).

რომი

ჩინეგული პერსპექტივები

13 აპრილი. (საკდესი). ხრულიად საკავშირო გაერთიანება „ავტოელექტრონიკა“ და იტალიის ფირმა „ჩიასს“ შორის, რომელიც საბჭოთა ავტომობილებს ყიდულ იტალიაში, დაიდო კონტრაქტი საბჭოთა კავშირიდან ავტომანქანების დიდი პარტიის მიწოდებაზე. ეს განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ფირმა „ჩიასის“ პრეზიდენტმა ჯ. ბარანესმა.

კონტრაქტის თანახმად, თქვა მან, 1973 წლის შემოდგომისათვის სსრ კავშირი იტალიას მიაწვდის „ზაპოროჟეცის“ მარკის 1.000 ავტომანქანას, 300 „მოსკვიჩსა“ და 100 ავტომობილ „ვოლგას“.

ინდოეთი

ეძღვნება საქართველოს

13 აპრილი. (საკდესი). ბომბეის ეროვნული ინსტიტუტის ბიბლიოთეკა „ბიბლიოთეკა ინდიკა“ ეძღვნება საქართველოს. ინსტიტუტის ბიბლიოთეკა ინდოეთის ეროვნული ბიბლიოთეკა ინდიკა ეძღვნება

ხელოვნების კმაგები

ლაურეატთა სპექტაკლი

„აბესალომი და ეთერი“ უკრაინელი სოლისტების მონაწილეობით

შარშან, მაისში კიევში ნამდვილ დღესასწაულად იქცა „აბესალომი და ეთერის“ დადგმა ტ. შევჩენკოს სახელობის კიევის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე. ეს ტრადიციული ზეიმი კვლავ გრძელდება. თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე თავის ვამოსვლებს განაგრძობენ ამავე თეატრის წამყვანი სოლისტები, ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატები უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტები ი. გოლოვჩუკი (აბესალომი) და ნ. მოკრინაო (მურანი), ოპერის პრიმა-სოლისტი ბ. ციპოლა (ეთერი), დირიჟორი — უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ხ. ტურჩაკი.

შინაგანი წიწინდითა და უმანკოებით აღსავსე ეთერ-ციპოლამ პოეტური მომხიბლაობა მიანიჭა თავის გმირს. მის სიმღერაში მარტო ვოკალისტის ნიჭიერება კი არ იგრძნობოდა, არამედ სცენური გარდასახვის ის უტყუარი უნარი, რომელიც მუსიკალურ-მსატვრულ სახეს ასე დამაჯერებელს ხდის სოლმე.

მღელვარე შეყვარებული უფლისწული-ი. გოლოვჩუკი გატაცებით უმღერდა გლეხის გოგონას. ისეთნაირად ტრფიალი და აღფრთოვანება ისმოდა მომღერლის ხმაში, რომ გჯეროდა — ამ უმაღლესი სიყვარულის დამსხვრევა მხოლოდ სიკვდილს შეუძლია. გამანადგურებელი

სევდა იგრძნობოდა აბესალომის არიაში „ვეძებდი ბედსა“, რომლის პირველი ნასვლარი ქართულ ენაზე შესრულა მომღერალმა.

ექსპრესიული, დრამატული მგზნებარებით იყო აღსავსე ნ. მოკრინაო-მურმანი. ბრწყინვალე გარეგნობის, დემონიურად მეტყველი თვალებით, მან მურმანის რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე სულიერი სამყარო გადაგვიშალა. მისი ლამაზი ბარიტონი ვიოლაცურად, დიდი შინაგანი რწმენითა და ტემპერამენტით ჟღერდა.

სამივე მომღერალმა შესანიშნავ ურთიერთდამოკიდებულებას მიაღწია. სამივე ცალცალკე ჩამოყალიბებულ სახეს ქმნიდა, რომელსაც მუსიკალური ანსამბლი ერთ მთლიანობაში აერთიანებდა.

ქართული ეროვნული ოპერის პარტიტურის ღრმად ჩაწვდომით მსმენელი მოხიბლა დირიჟორმა ხ. ტურჩაკმა. მრავალფეროვანი ნიუანსირების საშუალებით მან გუნდისა და ორკესტრის მდიდარ ჟღერადობას მიაღწია. „აბესალომ და ეთერის“ რომანტიკული სიყვარული დირიჟორმა ტრაგიკულ სიმაღლეებამდე აიყვანა. გასხივოსნებული, ნათელი სისარულით ჟღერდა მეორე აქტი, ბრწყინვალედ შესრულდა „ჩაკრულო“, ღრმა ტრაგიზმი გაისმა მესამე აქტში. მან ხაზი გაუსვა სხვადასხვა განწყობილებათა კონტრასტულ დაპირისპირებას.

„ბედნიერი ვარ, რომ დღეს მე მშობური საქართველოს დედაქალაქში ვდირიჟორობ თქვენს ეროვნულ სიმაღლეს „აბესალომ და ეთერს“, — თქვა ტურჩაკმა, — რომელიც მსოფლიოს ყველა საოპერო თეატრის რეპერტუარს დაამშვენებდა. ჩვენ ძალიან შევიყვარეთ ფალიაშვილის მუსიკა. ეს სპექტაკლი იყო შემოქმედებითი ეტაპი ჩვენი თეატრისათვის და გარდატეხა პირადად ჩემი შემოქმედებისათვის. მან ღრმად ჩამაფიქრა, უფრო სხვანაირად დაგინახე სამყარო.

არსად, სადაც კი ოდესმე გამოვსულვარ, — ინგლისში, იტალიაში, იაპონიაში, რუმინეთში, უნგრეთში თუ სხვაგან, ისე არ მიღელვია, როგორც დღეს. მე და დ. სმოლიჩს, ამ სპექტაკლის დამდგმელს, მოლაპარაკება გვაქვს პრაღის ხალხურ თეატრთან — დავდგათ იქ რაიმე სპექტაკლი, იქ „აბესალომი“ ავიჩჩიეთ, ჩვენს თეატრში კი უფროველად დავდგამთ „მინდიას“...

სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა, მასში მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა სოლისტებმა თ. შუშკევიჩმა (აბთარ), ნ. მკერდლიძემ (მარიხი), ლ. ტატიშვილმა (დედოფალი) და სხვ.

ჩვენი სტუმრები გუშინ, 13 აპრილს გამოვიდნენ „აიდაში“, ხოლო 15 აპრილს იმღერეს „ტარას ბულბაში“.

ნათელა სვანიშვილი.

■ ■ ■

სურათებზე: (ზემოდან) აბესალომი — ა. გოლოვჩუკი და ეთერი — ბ. ციპოლა; დირიჟორი ხ. ტურჩაკი; მურმანი — ა. მოკრინაო.

ალ. ბინიაშვილის ფოტო.

ჯილდოები ქართველ თეატრალურ მოღვაწეებს

ამას წინათ მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე გაიმართა სპექტაკლის „მე, ია, ილია და ილარიონის“ პრემიერა. სპექტაკლი დადგა საქართველოს სახალხო არტისტმა გ. ლორთქიფანიძემ. ამ სპექტაკლით წარსდგა თეატრი სსრ კავშირის ხალხთა დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნების მეორე სრულიად რუსეთის ფესტივალზე, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. ფესტივალის პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა სპექტაკლის რეჟისორ-დადგმელი გ. ლორთქიფანიძე.

შეჯამებულია რუმინეთ ავტორთა დრამატული ნაწარმოებების სრულიად საკავშირო ფესტივალის შედეგები. ამ შემოქმედებითს ასპარეზობაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაიმართა, მონაწილეობდა ორი ქართული თეატრი — ფოთის ვ. გუნიას სახელობის დრამატული თეატრი და თბილისის თოჯინების თეატრი. პირველმა წარმოადგინა ეფტიმიუს პიესა „სიკვდილგამოვლილი კაცი“, რომელიც დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა რ. აბულაძემ, მეორემ კი სპექტაკლი პოპესკუს პიესის მიხედვით „მზის სხივი“, რომელიც დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. სარჩიმელიძემ.

ფესტივალის ჟიურომ დიპლომები და პრემიები მიანიჭა ამ საბჭოთა რეჟისორს. გამარჯვებულთა შორის არიან რეჟისორი გ. სარჩიმელიძე და მსატვარი რ. კოდსასაშვილი. ჟიურის გადაწყვეტილების საფუძველზე სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების სიგელები მიიღეს მსახიობმა ც. ჩისლაძემ მეფის როლის შესრულებისათვის, მსახიობმა ვ. გოგიჩაიშვილმა — პატის როლის შესრულებისათვის, და თოჯინების თეატრმა.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების სიგელებით დაჯილდოვდნენ ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, რეჟისუორიკის დასახელებული, არტისტი გ. ებრალიძე, ალექსანდრე ფილიმონის როლის შესრულებისათვის სპექტაკლში „სიკვდილგამოვლილი კაცი“ და ასალაზრდა მსახიობი ხ. კიკნაძე მაწანწალას როლის შესრულებისათვის ამავე სპექტაკლში.

(საქინფორმი).

ტურისტული ბილეთებით

საქართველოს მშვენიერი ბუნება, რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული ძეგლები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ყოველწლიურად ასიათასობით მშრომელს იზიდავს.

შავი ზღვის სანაპიროზე, კახეთის ნაყოფიერ ხეობაში, ჩაის მწვანე პლანტაციებში, აყვავებულ ბაღებსა და მაღალმთიან უღელტეხილებზე ტურისტებს ქართული გულთბილობა და სტუმართმოყვარეობა ელით. შინ დაბრუნებისას კი თან დაუვიწყარი შთაბეჭდილებები მიაქვთ.

■

სურათებზე: ლაშქრობა; თელავიდან უკვარლისაკენ მიმავალ გზაზე ტურისტები ეცნობიან ცახესიმაგრეს, კახეთის სამეფოს ყოფილი დედაქალაქის — გრემის ნანგრევებს, სასახლის ნაგებობას და ეკლესიას.

ხ. ოვეზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ეროვნული ოპერა

ეროვნული ოპერა

ეროვნული ოპერა